აპრილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ აპრილი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

16-21-2-202604201144

N 16/21

20.04.2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონი თეიმურაზ,

გიგზავნით ა(ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „კულტუტრის ცენტრის" 2025 წლის ანგარიშს.

დანართი 8 ფურცელი.

პატივისცემით,

ანა დოლაბერიძე

მმართველი

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ანგარიში - 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2025 წელს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, ჩვეული რიტმით ახორციელებდა თავის ფუნქციას, რომელიც ითვალისწინებს კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობის ორგანიზებას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. აღნიშნულ ფუნქციას კულტურის ცენტრი წარმართავს თავის დაქვემდებერებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებზე დაყრდნობით. ესენია: 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი, 10 სასოფლო კლუბი, 3 მუზეუმი, ფოლკლორული ანსამბლი ,, ნადური“, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ივერია“ და სახალხო თეატრი. მათი საქმიანობის გააქტიურებისათვის მიზნობრივად გამოიყენება, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები, ასევე საკონცერტო დარბაზის გაქირავებით, მუზეუმის ბილეთების ამონაგებითა და ფასიანი წრეებით მიღებული შემოსავლები.

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრის გეგმა შეადგენდა 1814117 ლარს, ხოლო ხარჯი 1707226 ლარს. მათ შორის: ბიუჯეტიდან მიღებული: გეგმა -1767345 ლარია, ხარჯი 1694106 ლარი, საკუთარი სახსრებით გეგმა - 46772 ლარი, ხარჯი - 13120 ლარი.

2025 წელს დარგების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები ასე გამოიყურება:

საბიბლიოთეკო გაერთიანება:

იანვრის თვეში მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო კონკურსი ,,ჩემი ხელწერა“, რომელშიც 15 საჯარო სკოლის 82 კონკურსანტი მონაწილეობდა.

თებერვალში ქსელის ბიბლიოთეკარები აქტიურად ჩაერთვნენ წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლო მარათონში. 29 ბიბლიოთეკაში 200-მდე მკითხველის მიერ ერთდროულად საჯაროდ იკითხებოდა წლის იუბილარი მწერლების ნაწარმოებები. ამავე თვეში გეგუთის სასოფლო ბიბლიოთეკამ საჯარო სკოლასთან ერთად დავით აღმაშენებლის დღეს მიუძღვნა ლიტერატურულ- მუსიკალური კომპოზიცია ,, რომელმან აღაშენა“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის დაწესებულებების საღონისძიებო შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად არიან

ჩართულნი საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს მიღებულ დადებით შედეგებს.

მარტში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ საკადრისად აღნიშნა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 185 წლისთავი. 16 ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული სპექტაკლი ,,ცა - ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო". საიუბილეო პროექტი კი დაგვირგვინდა ლიტერატურული კონკურსით ,,რა ვიცით აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ". კონკურსში ბიბლითეკებთან ერთად ჩართული იყო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 14 გუნდი 70 მონაწილით.

რიონის ბიბლიოთეკა მონაწილეობდა სასკოლო პროექტში ,, ჩვენ ვსწავლობთ სოფლის ისტორიას". საყულიის ბიბლითეკა ახალგაზრდა მკითხველკებით ესტუმრა გელათის აკადემიას.

აპრილში ქალაქის საბავშო ბიბლიოთეკაში, პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ,,ენა დედაა ერისა". ამავე ბიბლიოთეკამ თებერვალში გამართა დიალოგი წიგნზე კაფკას ,,მეტამორფოზები" და ზღაპრის დღე, რომელიც ქრისტიან ანდერსენის დაბადების დღეს დაუკავშირა.

2025 წლის მაისის თვეში, ყველაზე დიდი პროექტი იყო საბიბლიოთეკო კვირეული. ამ ტრადიციული ზეიმის ღონისძიებები კი ასეთი გახლდათ:

შეხვედრა - დიალოგი მწერალ ბაია ბოჭორიშვილთან - მაღლაკში.

შეხვედრა მშობლიურ სკოლასთან - მწერალი გია ხოფერია - მუხიანში.

თემატური საღამო - ,,წიგნი - კაცთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე" - გვიშტიბში.

პოეზიის საღამო - სტუმრად პოეტი მურთაზ კანკაძე - გუმბრაში.

ქველმოქმედების დღე - ბიბლიოთეკა შშმ პირთა სახლის ბენეფიციარებთან - რიონში.

ახალ წიგნებთან მოგზაურობა - საბავშვო ბიბლიოთეკაში.

პოეზიის საღამო - დღის სტუმარი პოეტი და მეცნიერი ომარ გვეტაძე- ფარცხანაყანევში.

შეხვედრა პოეტ ლალი ფრუიძესთან - ოფურჩხეთში.

პოეზია და მოგონებანი - მიეძღვნა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას - ხომულში.

ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია ,,მაგონებს გიტარა იმ ლამაზ ლექსს" - გეგუთში.

შეხვედრა მწერალ გიზო თავაძესთან - ოფშკვითში.

ივნისში ბიბლიოთეკებმა მწერალ ოტია იოსელიანის დაბადების 95-ე წლისთავს მიუძღვნეს მუნიციპალური კონკურსი მწერლის ცხოვრებისა და და შემოქმედების ცოდნის გამოსავლენად. მასში მონაწილეობდა 16 გუნდი 98 მონაწილით. მწერლის საიუბილეო კვირეული დაგვირგვინდა ლიტერატურული სპექტაკლით ,,სიშირით სიახლოვე", რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით და სპექტაკლის ავტორის შალვა აბაშიძის მონაწილეობით ჩატარდა საკონცერტო დარბაზში.

აგვისტოში, მთავარმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა მწერალ ინგა გოგიბერიძეს.

აღსანიშნავია, რომ მარტში მთავარი ბიბლიოთეკის ინიციატივით და კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერით ,,ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში", 14-მა ბიბლიოთეკარმა გაიუმჯობესა ციფრული შესაძლებლობები - შეისწავლა ხელოვნურ ინტელექტთან დიალოგის ფორმები, გუგლის აპლიკაციებით სარგებლობა და სხვა, რაც საბიბლიოთეკო დარგში უნდა იქნას გამოყენებული.

არანაკლები მნიშვნელობისაა და რთულიც საბიბლიოთეკო ფონდებთან მუშაობა და მეთოდური საქმიანობა. დაზუსტდა ჩამოსაწერად გამოყოფილი ლიტერატურის სიები და მომზადდა ჩამოსაწერ კომისიაზე გადასაცემად 44300 წიგნი. სარეზერვო ფონდიდან პირველი წყალტუბოს ბიბლიოთეკისთვის გამოიყო და დამუშავდა 380 წიგნი. შემოწმდა პირველი წყალტუბოს და ჟონეთის ბიბლიოთეკის ფონდები და განხორციელდა ძირეული ცვლილებები ორივე ფილიალის იერსახის შესაცვლელად, მხატვრული ლიტერატურის ინდექსების რედაქტირებასა და ფონდის განლაგებაში.

2025 წელს მთავარი ბიბლიოთეკა შეუდგა კატალოგების რედაქტირებას. ეს პროცესი უპირველესად შეეხო ჟონეთისა და გუბისწყლის ბიბლიოთეკებს (გუბისწყლის ბიბლიოთეკაში ეს სამუშაო 2026 წელსაც გაგრძელდება.)

მისასალმებელია, რომ დერჩის გარემონტებულ ბიბლიოთეკაში, დეკემბრის თვეში მთავარი ბიბლიოთეკის ორგანიზებით შესაბამისი ინდექსებით აიწყო წიგნადი ფონდები და საგამოფენო - სამკითხველო დარბაზი. ასე, რომ მაღალმთიან ზონაში ამ ბიბლიოთეკის სახით გაჩნდა ღირსეული საგანმანათლებლო - კულტურული კერა.

მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფები სისტემატურად კრებენ პერიოდული გამოცემებიდან საინტერესო ინფორმაციებს და ავსებენ თემატურ კართოთეკებს. მომზადდა სლაიდ შოუ - ,,ბიბლოთეკების ქრონიკა 2020-2024წწ".

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან, ავტორებისგან და

მკითხველებისგან მიღებული იქნა 82 წიგნი, ღირებულებით 1135,90 ლარი. ასევე კულტურის სამინისტროს ვაუჩერით შეძენილი იქნა 56 წიგნი ღირებულებით 900 ლარი, რომელიც დამუშავდა და გადანაწილდა 8 ბიბლიოთეკაში. ამ დროისათვის შემოსულია 138 ცალი წიგნი.

საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო გაერთიანება მოემსახურა - 3160 მკითხველს და მათზე გაიცა - 34000 -ზე მეტი წიგნი.

მომსვლელთა რაოდენობა ანუ გამტარიანობა (იგულისხმება ინტერნეტ მომსახურება) 29 ბიბლიოთეკაში ჯამურად შეადგენს - 5800 კაცს. ამ მაჩვენებლის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ბევრი წიგნი გაციფრულებულია და საინფორმაციო ძიების სისტებემებიც მრავალსახოვანი, შესაბამისად, მიმზიდველობა ელექტონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობისკენ გაიზარდა და ბიბლიოთეკები სწორედ ამ მიმართულებით იღებენ სტარტს. აღსანიშნავია , რომ ამ საჭიროებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტმა გასულ წელს საბიბლიოთეკო დაწესებულებების აღჭურვილობა ახალი 8 კომპიუტერით შეცვალა. ჩვენის მხრივ, ბიბლიოთეკარები მომზადდნენ შესაბამისი კომპიუტერული უნარ - ჩვევებით. ამ მხრივ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ოფურჩხეთის სასოფლო ბიბლიოთეკა, სადაც ნოემბრიდან (ოფურჩხეთის საჯარო სკოლასთან ერთად) მოქმედებს ახალი პროექტი ცოცხალი ციფრული ბიბლიოთეკა - ,, წიგნის ამბავი რეალობასა და ონლაინ სივრცეში'', რომლის ერთ - ერთი მიზანია გუნდური და ციფრული მუშაობის პრაქტიკა, ბიბლიოთეკასთან სისტემატური მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანებამ საქმიანობის შედეგების მიხედვით ზემდგომი ორგანოების სერიოზული შეფასება დაიმსახურა. ამის დასტურია მეტად საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის მედალი - რომელიც კულტურის სამინისტროსა და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გადაეცა წყალტუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანების მენეჯერს სულიკო სვანიძეს (აღნიშნული ჯილდო საქართველოში მხოლიდ 4 ბიბლიოთეკარს ერგო წილად.) ამავე წელს იგი გახდა აგრეთვე ,,წიგნის ქომაგი 2025'' - ჯილდოს ერთადერთი მფლობელი. ეს აღიარება მასთან ერთად მუნიციპალიტეტსაც ეკუთვნის.

სამუზეუმო გაერთიანება

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მუზეუმების ფონდები შეივსო 393 ექსპონატით (ფოტო, დუკუმენტი, ეთნოგრაფია).

მუზეუმებში დაცული დოკუმენტებით ისარგებლა 36-მა ადამიანმა (წყალტუბოს საჯარო სკოლების მოსწავლეები), რომელთაც მიეწოდათ მასალები წყალტუბოს სანატორიუმების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფლებისა და ეკლესია-მონასტრების შესახებ. აღნიშნულ პერიოდში დეზინფექცია გაუკეთდა ფონდებში დაცულ ექსპონატებს.

ივნისის თვეში მუზეუმის თანამშრომლებმა მოაწყვეს დაზვერვითი გასვლა სოფელ ჩუნეშის ციხის ნანგრევებზე და შეისწავლეს ციხის ეზოში აგებული წმინდა სტეფანეს სახელობის უძველესი ეკლესია. ასევე მოეწყო საველე გასვლები სოფელ ყუმისთავსა და ქვილიშორში.

საანგარიშო პერიდში მუზეუმის თანამშრომლებმა იმუშავეს თემებზე, რომლებიც დაიბეჭდა მუზეუმის შრომათა 2025 წლის კრებულში.

მუზეუმის ბიბლიოთეკა შეივსო 28 წიგნით. მოხდა ამ წიგნების აღწერა და კლასიფიკაცია.

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოიფინა ფონდებში დაცული ძველი ხელნაწერები. 56 წლის განმავლობაში მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნები, ბუკლეტები, კრებულები. მოეწყო ღია კარის დღე. მხოლოდ ამ დღეს მუზეუმი უფასოდ დაათვალიერა 77 ვიზიტორმა. აპრილსა და მაისში მუზეუმებში ჩატარდა 2 ღია გაკვეთილი სოფელ ჩუნეშისა და მაღლაკის მე-2 საჯარო სკოლების მასწავლებლების და მოსწავლეების მონაწილეობით. ოქტომბრის თვეში ჩატარდა სერგეი მესხის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია სოფელ რიონში. 19 ოქტომბერს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ინიცირებული პროექტი - ,,გმირის დღე'', რომელიც გახსნა პარლამენტის დროებითი კომისიის თავჯდომარემ მარიამ ლაშხმა.

სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მენტორმა მასწავლებელმა კახაბერ ჩაკვეტაძემ წარმოადგინა თემა - ,,ნიკო ლორთქიფანიძე'' - ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი გივი ჭიჭინაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები, საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები.

მუზეუმებში მოეწყო 8 დროებითი გამოფენა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციებით დაინტერესება გამოხატა თბილისის ტელევიზიამ LTV-მ და გადაცემისთვის ,,ჩემი საქართველო" გადაიღო საექსპოზიციო დარბაზები (ჟურნალისტს მუზეუმის შესახებ ესაუბრა სამუზეუმო გაერთიანების მენეჯერი ია კუხალაშვილი).

2025 წელს სამუზეუმო გაერთიანებაში შემავალი მუზეუმები დაათვალიერა - 5484 ვიზიტორმა, ჩატარდა 542 ექსკურსია - ლექცია. ამ მაჩვენებლებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ნიკო ლორთქიფანიძის სახლ - მუზეუმმა, სადაც წყალტუბოს მერიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული ცვლილებების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა დამთვალიერებელთა რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში ,,კულტურის ცენტრის'' სახალხო თეატრის დასმა მოამზადა სპექტკლი, რომლითაც მონაწილეობა მიიღო იმერეთის საერთაშორისო ფესტივალში, სულ უფრო წარმატებული ხდება ამავე თეატრის თოჯინური დასის საქმიანობა. 2025 წელს დაიდგა ახალი თოჯინური სპექტაკლი ,,კომბლე", რომლის ნახვის შესაძლებლობა მაყურებელს ყოველი კვირის პარასკევს ჰქონდა. სპექტაკლი ქალაქის საჯარო სკოლებისა და ბაღების ათასამდე პატარა მაყურებელმა ნახა. თეატრმა მონაწილეობა მიიღო თოჯინების თეატრების ფესტივალში ,, მზიანი საქართველო".

წლის განმავლობაში ,,კულტურის ცენტრის'' ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები ,,ნადური'' და ,,ივერია'' ინტენსიურად მუშაობდნენ საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწისა და სრულყოფისათვის. აღსანიშნავია მათი მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ივერია" გასული წლის ზაფხულში სპეციალური მიწვევით, საგასტროლოდ იმყოფებოდა თურქეთის ქალაქ ბურსაში.

2025 წელს ,,კულტურის ცენტრის'' მიერ ორგანიზებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სახალხო დღესასწაულები ,, თამარობა" - სოფელი გეგუთი და ,,ელიაობა" - სოფელი მაღლაკი. ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობით წარიმართა სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო". სულ საანგარიშო პერიოდში ,,კულტურის ცენტრის'' მიერ ორგანიზებული და ჩატარებული იქნა 100 - ზე მეტი ღონისძიება.

არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზისა და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისათვის გაწეული მხარდაჭერისა და ძალისხმევის გამო. ამის ნათელი მაგალითია, საანგარიშო პერიოდში ნიკო ლორთქიფანიძის სახლ - მუზეუმის ტერიტორიაზე კეთილმოწყიობილი ღია სივრცის შექმნა, ასევე 2025 წლიდან მიმდინარე საყულიის კლუბისა და ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტში გაჩნდება კიდევ ერთი სრულყოფილი საგანმათლებლო კერა.

აქვე მოკრძალებით უნდა აღინიშნოს რიგი ნაკლოვანებებისა და მოსაგვარებელი საკითხების შესახებაც. ინფრასტრუქტურული ცვლილებებია განსახორციელებელი 10 ბიბლიოთეკასა და რამდენიმე კლუბში, მათ შორის სრულიად ავარიული მდგომარეებაა დღნორისის კლუბსა და ბიბლიოთეკაში. ინტერნეტის საკითხი მოსაგვარებელია 7 ბიბლიოთეკაში: სოფელი წყალტუბო, პირველი წყალტუბო, გუმბრის, მეორე უბნის, ტყაჩირის, ოფშკვითის ბიბლიოთეკებში. რამდენიმე მათგანში შესაძენია სხვადასხვა ინვენტარი.

აღნიშნული პრობლემების გამოსწორებისათვის ზრუნვა და კულტურულ შემოქმედებითი მუშაობის მკვეთრი გააქტიურება იქნება ა(ა) იპ. ,,კულტურის ცენტრის'' 2026 წლის სამოქმედო პროგრამა.